პოლიტიკის დოკუმენტი განხილვისთვის

რეზიუმე

2015 წელს საქართველოს მთავრობამ, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახით, მიიღო გადაწყვეტილება მოახდინოს ბავშვზე ზრუნვის საქმიანობის სრული რეგულირება ქვეყანაში.

ზემოაღნიშნული ინიციატივის წამოწყებისას, არ იყო ზუსტად ცნობილი რამდენი და რა ტიპის დაწესებულება არსებობს საქართველოში, რომელიც მსგავს მომსახურებას სთავაზობს ბავშვებს.

ორგანიზაციამ “პარტნიორობა ბავშვებისთვის”, მთავრობასთან შეთანხმებით და ჰოლანდიის მთავრობის ხელშეწყობით, განახორციელა ყველა იმ დაწესებულების იდენტიფიცირება და აღწერა, რომელიც ბავშვებს სთავაზობს 24 საათიან ზრუნვას. ამას გარდა, მთავრობას გაეწია რეკომენდაციები კონკრეტული გზებისა და მექანიზმების შესახებ დღეისთვის სახელმწიფო რეგულირების მიღმა დარჩენილი 24 საათიანი ბავშვთა მომსახურებების სახელმწიფო რეგულირების ქვეშ მოქცევის მიზნით.

2016 წლის 8 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ კანონში ცვლილებები.

მიუხედავად ავტორების მიერ კანონის ცვლიელების მიღებამდე გაწეული რეკომენდაციებისა, არც ერთი მათგანი არ იყო გათვალისწინებული.

აღნიშნული ცვლილებები წარმოშობს მთელ რიგ პრობლემებს არაერთი მიმართულებით. ესენია: განათლებაზე ხელმისაწვდომობა, რელიგიური უფლებები, ბავშვთა დაცვა და ზრუნვის სტანდარტები.

წინამდებარე დოკუმენტი განიხილავს კანონის ცვლილებით წარმოშობილ პრობლემებს და დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მათი გადაწყვეტის გზებს.

საგულისხმოა, რომ ყველა განხილული დაწესებულების მესვეურები აღიარებენ რეგულირების საჭიროებას და მზად არიან დაექვემდებარონ რეგულაციებს. მათ მიერ ბავშვთა მომსახურებების დაფუძნებისას, და მომდევნო წლებში არ არსებობდა რაიმე საკანონმდებლო ჩარჩო და მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელი იქნებოდა მათი საქმიანობის დასაწყებად და ბავშვთა მომსახურებების ფუნქციონირებისათვის. თუმცა, ისინი აცხადებენ, რომ რეგულირების შემოღება გონივრულ ვადებში უნდა მოხდეს და მოლოდინი აქვთ სახელმწიფოსგან საჭირო მატერიალური და მეთოდოლოგიური დახმარებისა.

აღსანიშნავია, რომ რეგულირების მიღმა დარჩენილი დაწესებულებები, რომლებიც ბავშვებს 24 საათიანი ზრუნვას სთავაზობენ, არაერთგვაროვანია. ისინი დიფერენცირებულ მიდგომას საჭიროებენ, რათა:

1. უზრუნველყოფილ იქნას ბავშვთა დაცვა მათი უფლებების დარღვევისგან და არ მოხდეს ბავშვის დაშორება ბიოლოგიურ მშობლებთან სოციალური პრობლემების გამო

2. შენარჩუნდეს ის დადებითი შედეგები, რომელთა მიღწევასაც დღესდღეობით უზრუნველყოფენ აღნიშნული დაწესებულებები *(მაგ. ხელმისაწვდომობა საშუალო განათლებაზე მაღალმთიან რეგიონებში, ან დამატებითი აკადემიური დახმარება უმაღლესი განათლების დაწესებულებებში მოხვედრისთვის იმ რეგიონებში სადაც საჯარო სკოლებში განათლების ხარისხი განსაკუთრებით კატასტროფულია, ან რელიგიური განათლება)*

ასეთი დაწესებულებებია: რელიგიური კონფესიების, ადგილობრივი მთავრობების, არასამთავრობო ორგანიზაციების და კერძო ფილანტროპების მიერ დაფუძნებული ან დაფინანსებული მომსახურებები. ასევე, განათლების სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სკოლები პანსიონური მომსახურებით. ჩამოთვლილი დაწესებულებები შეიქმნა და ბავშვებს აწვდის ზრუნვას, საშუალო თუ რელიგიურ განათლებას.

ხაზგასასმელია, რომ კანონში შეტანილი ცვლილებებით, ყველაზე პრობლემური დაწესებულებები კვლავ რეგულირების მიღმა რჩება, რაც განაპირობებს მშობლის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთათვის ზრუნვის პარალელური (ჩრდილოვანი) ინსტიტუციური სისტემის არსებობას და მის გამოყენებას მეურვეობისა და მზრუნველობის სახელმწიფო უწყებების გვერდის ავლით. ესენია განათლების სამინისტროს მიერ დაფუძნებული და ადგილობრივი მთავრობების მიერ დაფინანსებული საჯარო სკოლები პანსიონური მომსახურებით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული და ადგილობრივი მთავრობის მიერ დაფინანსებული სკოლა-პანსიონები

საქართველოში არსებობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული 13 საჯარო სკოლა პანსიონური მომსახურებით (იხ. ჩამონათვალი). ყველა მათგანი უნდა ემსახურებოდეს საშუალო განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზანს. თუმცა, რეალურად, მათ ბენეფიციართა უმეტესობა სოციალურად გაჭირვებული და დისფუნქციური ოჯახებიდანაა.

პრობლემა: კანონის ახლახანს მიღებული ცვლილებები არ ვრცელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებულ პანსიონურ დაწესებულებებზე.

ასეთ დაწესებულებებში მყოფი ბავშვები კვლავ რჩებიან ბავშვთა დაცვის სისტემისა და ზრუნვის სტანდარტების მიღმა.

დღევანდელი მდგომარეობით, რეგულირების მიღმა არსებულ პანსიონურ დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების უმრავლესობა, სწორედ ამ დაწესებულებებში ცხოვრობს.

მიუხედავად განცხადებული მიზნისა, რომ უზრუნველყონ საშუალო განათლებაზე ხელმისაწვდომობა იმ ბავშვებისთვისთვის, რომლებსაც ბიოლოგიური ოჯახის საცხოვრებელ ადგილას არ არის საშუალო განათლების მიღების შესაძლებლობა, ეს დაწესებულებები აგრძელებენ ბავშვზე ზრუნვის რეზიდენტული სისტემის საბჭოთა ტრადიციას და მოქმედებენ როგორც მზურნველობამოკლებულ ბავშვთა საალმზრდელო დაწესებულებები.

არ არსებობს ამ დაწესებულებებში ბავშვის ჩარიცხვის კანონით განსაზღვრული წესი და კრიტერიუმები. ჩარიცხვის გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების ადმინისტრაცია. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ დაწესებულებზე არ ვრცელდება ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო სოციალური სამსახურის ზედამხედველობა თუნდაც ბავშვთა დაცვის კუთხით და სტანდარტები. კითხვებს იწვევს აღნიშნული დაწესებულებების დაფინანსების მექანიზმებიც.

ფინანსების მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორში არსებული სკოლა-პანსიონი, რომელიც სულ 16 ბენეფიციარს ემსახურება, მაშინ როდესაც, მისი დაფინანსება წელიწადში 100 000 ლარს შეადგენს და აღნიშნული თანხა არ მოიცავს ბენეფიციარების კვებას (კვება ჰუმანიტარული ორგანიზაციის მიერ არის უზრუნველყოფილი). აღნიშნულ დაწესებულებაში ზემოაღნიშნული რაოდენობის ბავშვს ემსახურება 47 თანამშრომელი (2.9 თანამშრომელი თითოეულ ბავშვზე).

გადაჭრის გზები:

აუცილებელია ჩამოყალიბდეს განათლების სამინისტროს მიერ დაფუძნებულ დაწესებულებებში ბავშვთა ჩარიცხვის წესი და კრიტერიუმები.

კონკრეტული სკოლა-პანსიონი უნდა ემსახურებოდეს კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში მდებარე კონკრეტულ სოფლებს, რომლებშიც განათლების სამინისტროს მიერ დადასტურებული ინფორმაციით, არ არის საშუალო განათლების დაწესებულება და ასევე არ არსებობს აღნიშნული სოფლის მცხოვრები ბავშვების "სასკოლო ავტობუსით" უზრუნველყოფის შესაძლებლობა კლიმატური თუ გეოგრაფიული თავისებურებების გამო.

ამას გარდა, ასეთ სკოლა-პანსიონში ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობად უნდა გახდეს სოციალური სამსახურის ბავშვზე ზრუნვის სპეციალისტების, სოციალური მუშაკების, დასკვნა, რომელიც გამორიცხავს ბავშვის მოხვედრას სკოლა-პანსიონში სიღარიბის, უგულვებელყოფის, ან ოჯახში არსებული სხვა პრობლემის გამო და ასეთის არსებობის შემთხვევაში შესთავაზებს მას სოციალური დახმარების ან მშობელთა ზრუნვის ჩანაცვლების ოჯახურ ალტერნატივებს.

ასევე, აუცილებელია, რომ აღნიშნული დაწესებულებებისთვის შეიქმნას ზრუნვის შესაბამისი სტანდარტი, რომელიც განსაზღვრავს როგორც აღზრდის და ზრუნვის პოზიტიური მეთოდებს, ისე დაწესებულების ინფრასტრუქტურულ სტანდარტებს.

მუსლიმი თემის (ისლამური) პანსიონური მომსახურებები (ე.წ. მედრესეები)

ისლამური პანსიონები წარმოადგენს მომსახურებას, რომელიც ბავშვებს სთავაზობს რელიგიური განათლების და აკადემიური წარმატებისთვის საჭირო დამატებითი დახმარების მიღების შესაძლებობებს.

აღნიშნული მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები და პირები მთავარ მიზნად განათლებული და წარმატებული მუსლიმი საზოგადოების აღზრდას ასახელებენ. რეგიონებში, სადაც საჯარო სკოლებში საშუალო განათლების ხარისხი ძალიან დაბალია და ვერ აძლევს ბავშვებს ისეთ განათლებას, რომლის ბაზაზეც შესაძლებელი იქნებოდა უმაღლესი განათლების სასწავლო დაწესებულებებში სწავლის გაგრძელება, ისლამურ პანსიონებში შეთავაზებული დამატებითი აკადემიური მხარდაჭერა, აძლევს მის ბენეფიციარებს საშუალებას საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა საქართველოს თუ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში განაგრძონ.

პრობლემა: აღნიშნული პანსიონები ემსახურება 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს. ხდება ბავშვების ადრეულ ასაკში დაშორება ბიოლოგიურ მშობლებთან, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე.

დღევანდელი სახით, პანსიონებში ვერ ხერხდება აღზრდის ინდივიდუალური მიდგომის განხორციელება. აღნიშნულის საშუალებას არ იძლევა არც პანსიონების ინფრასტრუქტურა, არც აღმზრდელთა რაოდენობა და მათი უმეტესობის ფორმალური კვალიფიკაცია.

გარდა ამისა, ისლამური პანსიონების უმეტესობის არსებობას არაფორმალური ხასიათი აქვს. აღნიშნული გულისხმობს: დაწესებულებების ადმინისტრაციულ მოწყობას, საბუღალტრო აღრიცხვის მექანიზმებს და ბენეფიციართა მიმართ წარმომადგენლობით უფლებებს.

ისლამურ პანსიონებში შეიმჩნევა არაერთგვაროვანი მიდგომა, როგორც რელიგიური განათლების, ისე აღზრდის მეთოდოლოგიის კუთხით. არის პანსიონები, რომლებიც მხოლოდ 15 წლის და უფროსი ასაკის ბავშვებს ემსახურებიან. მსგავსად პროფესიული კოლეჯებისა, ბავშვები ირჩევენ პანსიონში რელიგიური განათლების მიღებას და პანსიონის მახლობლად მდებარე საჯარო სკოლაში სწავლის გაგრძელებას. თუმცა, ასევე არის პანსიონები, სადაც 5 წლის ასაკის ბავშვებიც კი არიან განთავსებულნი.

რელიგიური ცოდნის მიღება და აღმსარებლობის თავისუფლება ბავშვის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული მიზნით ადრეულ

ასაკში ბავშვის დაშორება ბიოლოგიურ მშობლებთან ეწინააღმდეგება მის ჭეშმარიტ ინტერესებს და ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში ან ოჯახურ გარემოში აღზრდის უფლების დარღვევას წარმოადგენს.

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს რელიგიურ საგანმანათლებლო დაწესებულების ცნებას. კანონი აღიარებს მხოლოდ 24 საათიან საალმზრდელო დაწესებულებას, რომელიც ემსახურება მხოლოდ მშობლის მზრუნველობა მოკლებულად აღიარებულ ბავშვებს. ასეთი ბავშვების კონკრეტულ მომსახურებაში ჩარიცხვას წყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭო საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ისლამურ პანსიონებში მცხოვრები ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა არ არის მშობლის მზრუნველობამოკლებული და მათი პანსიონში განთავსება, არის ბავშვების ბიოლოგიური მშობლების გადაწყვეტილება, მათთვის რელიგიური განათლების, უკეთესი საშუალო განათლებისა და წარმატებული მომავლის უზრუნველყოფის მიზნით.

იმ პირობებში, როდესაც სკოლა ვერ სთავაზობს რეგიონებში მცხოვრებ ბავშვებს ხარისხიან საშუალო განათლებას, პანსიონი წარმოადგენს გზას, რათა მშობლებმა ხელმისაწვდომ ფასად უზრუნველყონ ბავშვების მომზადება უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრისთვის და იმავდროულად აღზარდონ ისინი მუსლიმი თემის ტრადიციული რელიგიის ცოდნით.

ისლამურ პანსიონებში მცხოვრები ბავშვები სახლმწიფო სოციალური სამსახურების და ბავშვთა დაცვის სისტემის მიღმა არიან დარჩენილნი. მათზე სათანადოდ ვერ ვრცელდება დაცვის სახელმწიფო მექანიზმები.

გადაწყვეტის გზები: კანონში(ებში) უნდა ჩამოყალიბდეს რელიგიური საგნამანათლებლო დაწესებულების ცნება/განსაზღვრება და ისლამური პანსიონები უნდა ჩამოყალიბდნენ ასეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებად.

ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულების პანსიონურ ნაწილში მოხვედრა დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ 15 წელს (9 კლასს დამთავრებული) მიღწეული ბავშვისთვის, რომელიც, მსგავსად პროფესიული განათლების დაწესებულებისა (კოლეჯისა), თავად წყვეტს სად გააგრძელოს განათლება.

პანსიონში განთავსების ერთ-ერთ წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს სოციალური მუშაკის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის ოჯახის სოციალური მდგომარეობით ან სხვა პრობლემებით განპირობებული.

რელიგიურ საგანმანათლებლო დაწესებულებებს უნდა შეეძლოთ უფრო მცირე (15 წლამდე) ასაკის ბავშვების მიღება მხოლოდ რელიგიური განათლების კურსის გავლის მიზნით “დღის ცენტრის მომსახურების

პრინციპით” და არა პანსიონურ ნაწილში. სურვილის შემთხვევაში ბავშვს უნდა ქონდეს შესაძლებლობა მიიღოს რელიგიური განათლება და ისლამურ პანსიონებში დღეისთვის შეთავაზებული სხვა სიკეთეები ბიოლოგიურ მშობლებთან დაშორების გარეშე.

ასევე აუცილებელია, რომ ისლამური პანსიონების ინფრასტრუქტურა და ბავშვთა აღზრდის მეთოდები შეესაბამებოდეს და ცხოვრებაში ატარებდეს პოზიტიური აღზრდის ღირებულებებს, და უზრუნველყოფდეს ბავშვის განვითარებისადმი ინდივიდუალურ მიდგომის შესაძლებლობას.

ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს:

1) შესაბამის კანონში(ებში) რელიგიური საგანმანათლებლო დაწესებულების ცნებისა და განმარტების გაჩენა
2) სტანდარტების შემუშავება კონკრეტულად რელიგიური საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის
3) გონივრული ვადის განსაზღვრა და მხარდაჭერა ახლადშექმნილი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

კანონში შეტანილი ცვლილებების გატარება კანონით გათვალისწინებულ ვადებში და სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი მეთოდოლოგიური თუ მატერიალური დახმარების გარეშე, გამოიწვევს ბენეფიციართა 90%-ის დარჩენას პანსიონს გარეთ ან პანსიონების სრულად დახურვას.

საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის საპატრიარქოს მიერ დაფუძნებული სკოლა-პანსიონები

2015 წელს საპატრიარქოს ორმა დაწესებულებამ, რომლებიც სააღმზრდელო დაწესებულებად იქნა მიჩნეული, გაიარეს ლიცენზირების პროცესი და მოიპოვეს სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია.

ესენია: ფერიის წმ. მატათას სახელობის ბავშვთა სახლი და
ნინოწმინდის ბავშვთა სახლი.

აღნიშნული დაწესებულებები დაექვემდებარენ ლიცენზირებას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თავს "ბავშვთა სახლს" უწოდებენ. შინაარსით, ეს ორი დაწესებულება განსხვავდება ერთმანეთისგან. ფერიას სააღმზრდელო დაწესებულება თავის შინაარსით წარმოადგენს სკოლა-პანსიონს. სკოლა, რომელიც განათლების სამინისტროს მიერ არის აკრედიტებული, ემსახურება მხოლოდ პანსიონში მცხოვრებ ბავშვებს.

გარდა ამ დაწესებულებებისა, საპატრიარქო ასევე მართავს 4 სკოლა პანსიონს:

1) მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფ. სალხინოს ამბროსი ხელაიას სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-პანსიონი
2) საჩხერეს მუნიციპალიტეტი, სოფ. საირხეს საირხეს წმ. ნინოს სახელობის სასულიერო სკოლა-პანსიონი
3) საქართველოს საპატრირაქოს წმ. კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა პანსიონი, თბილისი
4) სტეფანწმინდის წმ ილია მართლის სახელობის გიმნაზია პანსიონი

ზემოაღნიშნული დაწესებულებები ებმის საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს. ყველა წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აკრედიტებულ სკოლას, სადაც რელიგიური განათლება არის მხოლოდ ზოგადი განათლების დამატებითი კომპონენტი.

ამ სკოლების ბენეფიციარი ბავშვების დიდი ნაწილი წარმოადგენს ბავშვებს სოციალურად დაუცველი, გაჭირვებული ოჯახებიდან, რომლებსაც სკოლა-პანსიონი უწევს ოჯახის ჩამნაცვლებელ მომსახურებას.

პრობლემა: სკოლა-პანსიონი არის განათლების მიღების ერთადერთი საშუალება მაღალმთიან რაიონებში მდებარე იმ სოფლებში მცხოვრები ბავშვებისთვის, სადაც არ არის დაწყებითი და/ან მომდევნო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

სოციალური სამსახურები ვერ ხედავენ მშობლის მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, რომლებიც სკოლა-პანსიონებში თავსდებიან.
სკოლა-პანსიონი ხდება ოჯახის ჩანაცვლების ინსტიტუციური ფორმის მომსახურება და იგი არსებობს და ემსახურება ბენეფიციარებს მეურვეობისა და მზრუნველობის სოციალური სამსახურების გვერდის ავლით.

მაღალმთიან რაიონებში მდებარე სკოლა-პანსიონებს მნიშვნელოვან როლი აქვთ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით. სხვა, ინოვაციური, მიდგომების არარსებობის პირობებში მხოლოდ სკოლა-პანსიონის საშუალებით ხდება იმ ბავშვების ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში, რომლებიც მაღალმთიან სოფლებში ცხოვრობენ სადაც არ არის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

აღსანიშნავია, რომ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით ძალზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ე.წ. "სასკოლო ავტობუსების" პროგრამა, თუმცა პროგრამა ვერ უზრუნველყოფს 100%-იან დაფარვას. სოფლები სადაც ზამთრის პერიოდში არ ხდება გზების რეგულარული წმენდა თოვლისგან, ვერ იფარება სასკოლო ავტობუსის პროგრამით.

ამასთანავე, საპატრიარქოს მიერ დაფუძნებულ და მართულ სკოლებში ჩარიცხულს ბავშვებს, რომლებიც აღნიშნულ სკოლებში დამატებითი სოციალური მომსახურებების მიღების მიზნით ირიცხებიან (მაგ. უფასო კვება, უფასო დამატებითი წრეები და ა.შ.) არ ეკუთვნით სასკოლო ავტობუსის მომსახურებით სარგებლობა.

იქ სადაც გეოგრაფიული და კლიმატური თავისებურებები ხელს არ უშლის გადაადგილებას სასკოლო ტრანსპორტით, ზრუნვის რეზიდენტული ფორმის გამოყენების ძირითადი მამოძრავებელი არის დამატებითი სოციალური მომსახურებები. პანსიონური მომსახურებით მოსარგებლე ბავშვების რაოდენობა გაცილებით დაბალი იქნებოდა, ხელი რომ მიუწვდებოდეთ სასკოლო ავტობუსით მომსახურებაზე მაშინ როდესაც განათლებას საპატრიარქოს, კერძო, სკოლაში იღებენ.

გადაჭრის გზები:

საპატრიარქოს იმ პანსიონებში, რომლებიც მაღალმთიან რეგიონებში მდებარეობს ბავშვთა ჩარიცხვის წესი უნდა დარეგულირდეს იგივენაირად, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფუძნებული, მაღალმთიან რეგიონებში არსებული სკოლა-პანსიონების შემთხვევაში. 15 წლამდე სასკოლო ასაკის ბავშვების ჩარიცხვა უნდა მიბმული იყოს კონკრეტულ სოფლებზე, რომლებშიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით არ არსებობს საჯარო სკოლა.

15 წელს ზემოთ ასაკის ბავშვების ჩარიცხვა უნდა ხდებოდეს მათი სურვილის შესაბამისად/ნებაყოფლობით, ისევე როგორც პროფესიულ სასწავლებლებში, სოციალური მუშაკის შეფასების და დასკვნის საფუძველზე, რათა გამოირიცხოს ოჯახის სოციალური თუ სხვა პრობლემების გამო ბავშვთა მოხვედრა რეზიდენტული ზრუნვის ფორმაში ოჯახის ჩანაცვლების მიზნით.

ბავშვის ოჯახთან დაშორების თავიდან ასარიდებლად, საპატრიარქოს სკოლებში ჩარიცხულ ბავშვებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სასკოლო ტრანსპორტზე.

საჭიროა სპეციალურად სკოლა-პანსიონებისთვის შეიქმნას სტანდარტები, რომლებიც გაითვალისწინებს პანსიონების თავისებურებებს, დაფუძნებული იქნება ინდივიდუალური ზრუნვის, პოზიტიური აღზრდის ღირებულებებზე და განაპირობებს ისეთი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასა და აღზრდის მეთოდების დანერგვას, რომელიც ზემოაღნიშნული ღირებულებების ცხოვრებაში გატარებას შეუწყობს ხელს.

ჩამოთვლილი ნაბიჯები უნდა გაიწეროს გონივრული ვადებში და სკოლა-პანსიონებს გაეწიოს მეთოდოლოგიური თუ მატერიალური დახმარება ახლადშექმნილი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად.

დუშეთი მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული პანსიონები

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის, დუშეთის მუნიციპალიტეტში არსებობს 3 პანსიონი. ესენია: შატილის, ბარისახოს და მაღაროსკარის პანსიონები.

აღნიშნული პანსიონები დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ააიპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის" ფილიალებს წარმოადგენს.

ეს მომსახურებები "ებმის" განათლების სამინისტროს მიერ დაარსებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, რომლებიც ზემოაღნიშნულ სოფლებშია და უზრუნველყოფს მცხეთა-მთიანეთის სოფლებში მცხოვრებ ბავშვებს პანსიონური მომსახურებით.

პრობლემა: პანსიონებში ბავშვთა ჩარიცხვის კრიტერიუმები არ არის გაწერილი. მიუხედავად ადმინისტრაციის მიერ განცხადებული კრიტერიუმებისა, ბევრი ბავშვია ისეთი სოფლებიდან, სადაც სკოლაც არის და შესაძლოა "სასკოლო ავტობუსის" პროგრამითაც დაიფაროს.

ბარისახოსა და მაღაროსკარის პანსიონების ინფრასტრუქტურა სავალალო მდგომარეობაშია. განსაკუთრებით საგანგაშოა მდგომარეობა მაღაროსკარის პანსიონში, სადაც საპირფარეშო, კანალიზაცია და შხაპიც კი არ არის შენობაში.

პანსიონში განთავსებული ბავშვების დიდი ნაწილისთვის, ეს გახლავთ საშუალო განათლების მიღების ერთადერთი საშუალება, რადგან იმ სოფლებში სადაც მათი ბიოლოგიური მშობლები ცხოვრობენ, არ არის საჯარო სკოლები.

ხდება პანსიონური მომსახურების გამოყენება მაღალმთიანი რეგიონების სკოლადამთავრებულთათვის უმაღლესი განათლების დაფინანსების შეღავათებით სარგებლობის მიზნით.

ზემოაღნიშნული პანსიონების დახურვის შემთხვევაში, დუშეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და ამჟამად პანსიონური მომსახურებით მოსარგებლე ბავშვების ნაწილი განათლების გარეშე დარჩეს, ან მოუწიოს სახლიდან უფრო მოშორებით მდებარე პანსიონში განთავსება.

გადაჭრის გზები: ზედაპირული შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ბარისახოს სიახლოვეს მდებარე სოფლების მაცხოვრებლები მაღაროსკარის პანსიონში ირიცხებოდნენ და პირიქით. შესასწავლია პანსიონური მომსახურების საჭიროების მასშტაბები დუშეთის მუნიციპალიტეტში.

სხვა, ინოვაციური გზების არარსებობის პირობებში უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება, სად განთავსდეს პანსიონი: ბარისახოში თუ მაღაროსკარში.

პანსიონების ინფრასტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს უმაღლეს სტანდარტებს რაც საჭიროებს შესაბამის ინვესტიციას.

ასევე, მაღალმთიან რეგიონებში არსებული სკოლა-პანსიონების მსგავსად, მკაცრად უნდა იყოს გაწერილი მასში ბავშვის ჩარიცხვის კრიტერიუმები.